პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მებრძოლი გუშაგი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

БОЕВОЙ СТРАЖ—ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 13 (2455). | ოთხშაბათი, 26 მარტი, 1969 წ. | გაზეთი გამოდის 1930 წლიდან. მისი პირველი სახელწოდებაა „წითელი მილიციელი". ● გამოცემის 40-ე წელი. | ფასი 4 კაპ.

ავამაღლოთ გუშაგის ოსტატობა, კულტურა

საპატრულო-საგუშაგო სამსახური — ყურადღების ცენტრში!

უკანასკნელ ხანს ქალაქის ქუჩებში იშვიათად შეხვდებით ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ამ მიმართებით გატარებული მუშაობის შედეგია, მაგრამ ამასთან ერთად შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ, თითქოს ყველაფერი რიგზეა და აღარაა საჭირო ეფექტური ღონისძიებების გატარება. რასაკვირველია არა. ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე, ყველა საშუალებებით ვიმოქმედოთ იმ პირებზე, რომლებიც სჩადიან ხულიგნობას, არღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ყოველივე ამ არასასიამოვნო მოვლენების წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლას ძირითადად უნდა აწარმოებდეს მილიციის მუშაკი, რომელიც გამოყოფილია ქუჩაში სამორიგეოდ, წესრიგის დაცვის მიზნით.

საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წესდებაში ნათქვამია, საპატრულო-საგუშაგო სამსახურს ახორციელებენ მილიციის ხელმძღვანელობის დანიშნული განწესებით.

საპატრულო-საგუშაგო სამსახური არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, რომელიც მოითხოვს მთელი პირადი შემადგენლობისაგან სოციალისტური კანონიერებისა და ამ წესდების მოთხოვნების ზუსტად შესრულებას...

[illegible]

მოწინავეთა გალერეა

კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას საქართველოს სსრ შს სამინისტროს ხსენებული სამსახურის თანამშრომლები.

[illegible]

პარტიული კომიტეტი და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები

[illegible]

გაზიარებულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ტ. ბაბაევი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები აღნიშნავენ ჩინელ გამთიშველთა სამარცხვინო მოქმედებას. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა განყოფილებებში უკვე ჩატარდა საპროტესტო კრებები, სადაც მათ ერთხმად დაგმეს პროვოკატორები.

სურათზე: ქ. თბილისის ავტოინსპექტორთა ერთი ჯგუფი ეცნობა გაზეთში გამოქვეყნებულ ბრძანებულებას პოლკოვნიკ დ. ლეონოვის და უფროს ლეიტენანტ ი. სტრელნიკოვისათვის (სიკვდილის შემდეგ) საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. აქვეა გამოქვეყნებული ბრძანებულება უმცროს სერჟანტ ი. ბაბანსკის და უფროს ლეიტენანტ ვ. ბუბენინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მათი გმირობა აღაფრთოვანებს მილიციის მუშაკებს.

ფოტო გ. მვალობლიშვილისა.

საინტერესო ლექციები

ქუთაისის სამხედრო კომისარიატთან არსებულ აგიტპუნქტში ახალგაზრდობისათვის სისტემატურად ტარდება ლექცია-მოხსენებები საინტერესო თემებზე, მაგალითად: ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, მედიცინის სიახლეების და სხვა საკითხებზე. ასევე არ ვივიწყებთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებსაც.

წვევამდელების წინაშე ლექცია-მოხსენებებით გამოდიან ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს და პროკურატურა-სასამართლოს მუშაკები.

ამ დღეებში ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტგანყოფილების ჯგუფის ინსტრუქტორმა ბიძინა რაფიელის ძე ონიანმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ახალგაზრდობის როლი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში".

მომხსენებელმა ამომწურავად უპასუხა წვევამდელებს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

მომავალში აგიტპუნქტი კიდევ უფრო მეტ ღონისძიების გატარებას ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე.

ბ. ფალიაშვილი,
ქუთაისის სამხედრო კომისარიატთან არსებული აგიტპუნქტის უფროსი.

დარაჯის მამაცობა

ღამე ვანში ღამის 3 საათზე ცეცხლი გაუჩნდა პროდუქტების მაღაზიას. ეს შეამჩნია გუშაგმა ყორა ბურკაძემ, რომელიც მორიგ შემოვლას აწარმოებდა საყარაულო უბანში. ბურკაძე არ დაიბნა, თოფის სროლით გუშაგებს მოუხმო საშველად, თვითონ კი ხანძარს ეცვეოდა და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა მის ჩაქრობას. შემთხვევის ადგილზე მალე გაჩნდა სახანძრო რაზმიც და ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა.

გუშაგის სიფხიზლისა და სიმამაცის წყალობით მოსალოდნელ დაწვას გადარჩა მაღაზია [illegible].

შ. ტაბიძე,
ჩვენი კორ.

სტრიქონები ბრძანებებიდან

წაახალისეს

დამნაშავეთა დაკავების საქმეში გამოჩენილი ინიციატივისა და ოპერატიულობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მადლობა გამოეცხადათ კასპის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მილიციელს ხუთისო ბეჟაურს და უმცროს სერჟანტს ზაქრო ნარიმანიძეს.

1969 წლის 22 იანვარს კასპში, სტალინის ქუჩა № 70-დან უცნობმა პირებმა მოიპარეს მოქალაქე ვაზაგოვის ტანსაცმელი. დამნაშავეთა დადგენა-დაკავებისათვის გამოყოფილ იქნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც სხვა ოფიცრებთან ერთად შედიოდნენ მილიციელები ხ. ბეჟაური და ზ. ნარიმანიძე. მათი პირადი ინიციატივისა და მოხერხებული მოქმედების შედეგად, დამნაშავე მოპარულ ნივთებიანად მოყვანილ იქნა კასპის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში.

დასაჯეს

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური მშრომელთა დეპუტატების თელავის რაიაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებულს, მილიციის უფროს ლეიტენანტს შოთა სიმონის ძე ფირცხელაურს სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

შენიღბვამ ვერ უშველა

თბილისში, აბაშიძის შესახვევის № 4 სახლში ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი, რომლებიც სპეკულაციას მისდევდნენ.

ქმარი ლ. არუთინოვი არალეგალურად კერავდა სახლში ქალის ფეხსაცმელებს, ცოლი ე. აკოფოვა კი იმპორტული საქონლით ვაჭრობდა. კალინინის შს რაიგანყოფილების მუშაკებმა, მაიორმა შ. კვანტალიანმა, კაპიტანმა რ. აკობაშვილმა, კაპიტანმა შ. გელუმოვმა, უფროსმა ლეიტენანტმა ლ. ლონდაძემ მათი სახლიდან 5 ათასი მანეთის საქონელი ამოიღეს. სპეკულანტები მიცემულნი არიან პასუხისგებაში.

გ. თარალაშვილი,
ჩვენი კორ.

სპეკულანტის მხილება

[illegible]

ა. მეძველია.

ახალი ამბები ფაქტები ქრონიკა

მამაცი ადამიანები

[illegible]

ა. კოპაძე.

დამნაშავე დააკავეს

წალენჯიხა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა სოფელ მიქავას მცხოვრებმა მემედ ქვარაცხელიამ ცეცხლი წაუკიდა თავის საცხოვრებელს. სახანძრო რაზმის მოსვლამდე საცხოვრებლის შენობა მთლიანად დაიწვა. [illegible]

ხ. მანია,
საქართველოს სსრ შსს წალენჯიხის საგამომძიებლო ჯგუფის გამომძიებელი.

მძარცველები შეიპყრეს

[illegible]

ს. ხურცილავა,
შინაგან საქმეთა სოხუმის საქალაქო განყოფილების უფროსის სისხლის სამართლის ინსპექტორი.

ქონება გადაარჩინეს

[illegible]

შ. ფაცაცია,
წალენჯიხის პროფესიული სახანძრო ნაწილის უფროსის ინსპექტორი.

Δ მოკლედ

თბილისი. მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დ. უშიკოვი მთავარ ფოსტაში შევიდა და თანამშრომელ ქალს მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. შემდეგ ატეხა ღრიალი და ჩაამტვრია მინა.

დებოშიორი დააკავეს ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა ლეიტენანტმა გ. თურქაძემ, კაპიტანმა მ. ანდიაშვილმა და ლეიტენანტმა თ. ტყეშელაშვილმა. ხულიგნის საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ო. სახოკია.

* * *

ჭიათურა. მოსკოვის ქუჩა № 10-ში მცხოვრებმა გ. ცერცვაძემ სხვისი ბინის მიწერებით ჩამოიწერა (?) [illegible]

ძებნილი დააკავა უბნის რწმუნებულმა, მილიციის ლეიტენანტმა გ. ჯოლბორძემ (?).

ნ. ძაგანიძე,
„მებრ"-ის კორ.

* * *

თბილისი. პეკინის ქუჩაზე № 24 სახლში ხულიგნობა ჩაიდინეს ა. კოტოვმა და ვ. ტკაჩენკომ. დებოშიორები იმავე დღეს დააკავეს ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მორიგე ჯგუფმა უფროსმა ოპერრწმუნებულმა გაიოზ აბრამიშვილმა და ინსპექტორმა შალვა იმერლიშვილმა.

ა. აბაშელი,
„მებრ"-ის კორ.

მუშაობის ლენინური სტილისა და კულტურის უნივერსიტეტი

უურადღებამ!

მუშაობას იწყებს მუშაობის ლენინური სტილისა და კულტურის უნივერსიტეტი „მგზ"-ის ფურცლებზე.

ძვირფასო მეგობრებო!

მუშაობის ლენინური სტილისა და კულტურის უნივერსიტეტი მოწოდებულია დაეხმაროს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფაში.

ჩვენი უნივერსიტეტი თავისებური და ორიგინალურია. უნივერსიტეტში გამომცდელის როლს ასრულებს საზოგადოებრიობა, გამოცდებს აბარებს მილიცია და სხვა ორგანოები. შეფასების უმაღლესი ბალია — ხალხის მადლობა.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს გამოცდას აბარებენ ხალხს თავისი მოქმედებით, თავისი საქმიანობით, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოპოვებული მაჩვენებლებით, მაღალი კულტურითა და ტაქტით, ჰუმანიურობით, პროფესიონალური ოსტატობით...

ყველაფერი ეს შეიძლება ჩავთვალოთ არასრულ სიად იმ დისციპლინებისა, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის კათედრებზე შეისწავლება.

მუშაობის ლენინური სტილისა და კულტურის უნივერსიტეტში ჩარიცხულად ცხადდებიან შინაგან საქმეთა ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც ყოველდღიურად ავლენენ მაღალ კულტურას, ეუფლებიან თეორიულად და პრაქტიკულად ლენინური მუშაობის სტილს.

უნივერსიტეტიდან მოკვეთილად ჩაითვლებიან ისინი, ვინც საზოგადოებრიობის გულისწყრომას დაიმსახურებს, ვის მიმართაც სამართლიანი საჩივრები შემოვა რედაქციაში და სხვა ორგანოებში, ვინც ღირსი არ არის ეჭიროს ის ადგილი, სადაც უნდა იჯდეს ლენინური კულტურისა და სტილის მუშაკი.

ჩვენს უნივერსიტეტში უკონკურსოდ ჩაირიცხება ყველა, ვისაც გულწრფელად სურს დაეუფლოს მუშაობის ლენინურ სტილსა და კულტურას.

უნივერსიტეტში არ ცხადდება არდადეგები, რადგანაც არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ მუშაობის ლენინური კულტურისა და სტილის პრინციპები.

ჩვენს უნივერსიტეტში მეცადინეობა ატარებს როგორც ლექციურ (დაიბეჭდება თეორიული სტატიები), ასევე პრაქტიკულ ხასიათს (ანკეტური გამოკითხვები, მუშაობის სტილისა და კულტურის პრაქტიკული შემოწმება და ა. შ.).

უნივერსიტეტს ჭერჭერობით აქვს ორი ფაკულტეტი:

1. კულტურისა და სტილის;
2. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის.

უნივერსიტეტი მუშაობას იწყებს მსმენელთა გამოკითხვით.

ძვირფასო მკითხველებო!

ვისაც სურვილი გაქვთ ხელი შეუწყოთ უნივერსიტეტის მუშაობას, გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. თქვენი აზრით რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ლენინური სტილის მუშაკს?

2. შინაგან საქმეთა ორგანოების იმ თანამშრომელთა შორის, რომლებთანაც თქვენ გქონიათ სამსახურებრივი ურთიერთობა, ვინ პასუხობს ყველაზე სრულყოფილად თავისი მონაცემებით ლენინური სტილის მუშაკისათვის წაყენებულ მოთხოვნებს?

ვინ ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს? (დაასახელეთ გვარი, თანამდებობა, რა მიზეზით?).

3. რა არის საჭირო იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც ემსახურებიან თქვენს უბანს, მიკრორაიონს, იყვნენ ჭეშმარიტად ლენინური სტილის, მაღალკულტურული მუშაკები?

პასუხები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი ცხვედაძის მოედანი № 1 „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია.

მუშაობის ლენინური კულტურისა და სტილის უნივერსიტეტი

პარტიის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი

რკპ (ბ) VIII ყრილობის გახსნის 50 წლისთავისათვის

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობა (1919 წლის 18-23 მარტი) წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მთელს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშიც. [illegible]

გმირის მეუღლე — მილიციის მუშაკი

[illegible]

რიგით თანამშრომელი პროფესიული მაღალი დონის საქმეთა ადამიანებზე. [illegible] ...ვ. გაჩეჩილაძის, ი. სტრელნიკოვის, ა. გაბაშვილის და ვ. ბუბუნაშვილისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

სურათზე: პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები კრებაზე.

ფოტო გ. მჭედლიშვილისა.

არ დაგივიწყებთ, ვახტანგ!

თავდადება, ვაჟკაცობა, გმირობა

[illegible]

საგამომძიებლო პრაქტიკიდან

[illegible]

„მგზ"
ოთხშაბათი, 26 მარტი, 1969 წ.

მებრძოლი გუშაგი

ბრძოლა—ცილისმწამებელთ!

„მშ" საბრალდებო სკამზე

„მისთვის სიკვდილიც ცოტაა!"

ვ. შავლაკაძე

ცეცხლზე ძლიერი ადამიანები

სოხუმის სახანძრო ნაწილების მებრძოლები ეუფლებიან თავიანთ კვალიფიკაციას, პროფესიულ ოსტატობას.
სურათზე: სოხუმის პირველი პროფესიული სახანძრო ნაწილის ... ჯგუფი ...

ფოტო მ. კოტრიკაძისა.

იურიდიული ლიტერატურის სიახლენი

„მშს"-ის სადისკუსიო კლუბი — კამათში იბადება ჭეშმარიტება

სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანების საკითხისათვის

ვ. შანიძე,

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მინდვრის სამედიცინო ორგანოებში მუშაობს ვეტერინარი...

ფოტო ა. იაშალაშვილისა.

ძ ი ე ბ ა

ნარკვევი

თბილისი ხალხის ბინებზეა ეხვეოდა. სახლებში ათახობით ცისმნა ნათურები ინთებოდნენ და ქალაქი ნელნელა მინავდა ვარსკვლავებს...

მოეგუარსვა და თავი გავაცანი. მორის ბლოყიდ დაწუობა შემოეკრიბაბა...

ჩვენ მოვეცით სახელმძღვანელო დახასიათება...

ა. ხიკავიშვილი,
ლ. ჯანაშვილი,
ამხანაგის კორ.

პედაგოგიური პოემა ● რუბრიკა, რომელიც შეჰყუა ა. ს. მაკარენკოს

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა პირველი დღიდანვე წარმოადგენდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს.

...

ო. კოლბაიშვილი,
იუსტიციის მრჩეველი, ასპირანტი.

იურიდიული ცოდნა — მასებს!

სახლი დაწვას გადაარჩინეს

„ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ოჯახის წევრები ოთახში დამდგარმა მწვავე ბოლმა გამოაღვიძა, — გვწერს ქ. გორში, ჭოროიაშვილის ქ. № 40-ში მცხოვრები მიხეილ მაღლაშვილი, — ქვემოთ თანდათან მატულობდა, ცეცხლის კერა კი ვერსად აღმოვაჩინეთ...

აბას მამედ-ოღლი — კაცია-ადამიანი?!

ამბავი ასე დაიწყო: ქ. რუსთავის ერთ-ერთი საბჭოთა სამხედრო სასაფლაოს მოწყობილობის ბინის ტერიტორიიდან...

სასამართლო ქრონიკა

...

ბ. ბოლქვაძე,
„მებრ“-ის კორ.

„ქანი“

ოთხშაბათი, 26 მარტი, 1969 წ.

აფიშა · რეკლამა · დოსიე

თეატრი

ამ კვირას თბილისის თეატრებში შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი სპექტაკლები:

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი:

26 მარტს „მზიანი ღამე“. პოლკოვნიკის როლს თამაშობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. ჩარკვიანი.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი:

26-30 მარტს „სასამართლო ქრონიკა“ მილიციის პოლკოვნიკის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზ. ლაფერაძე, უფროსი ლეიტენანტის კი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ქიქოძე.

27 მარტს — „გუშინდელნი“ მაზრის უფროსის როლში გამოვის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი, ბოქაულის როლში კი — ვ. ფირცხალაიშვილი.

20 მარტს — „მთვარის მოტაცება“ — ბინდო მილიციელის როლს ასახიერებს მსახიობი ბ. გოგინავა.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი.

26 მარტს — „ჩემი შეშლილი ძმა“. ტიმბლის პოლიციელის როლში გამოდიან მსახიობები ზ. კახიანი და ა. დემინი.

27 მარტს — „რაც ვინახავს ვეღარ ნახავ“ პოლიციელის როლს განასახიერებს მსახიობი დ. შალვაია.

კინო

თბილისის ეკრანებზე შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი მხატვრული ფილმები: „ტაროდ გოლუბ“ „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, „მკვდარი სეზონი“ კინოსტუდია „ლენფილმის“ ნაწარმოები. ფილმში მოთხრობილია საბჭოთა მზვერავების საზღვარგარეთ მუშაობის შესახებ.

სცენა სპექტაკლიდან „სასამართლო ქრონიკა“.

კადრი ფილმიდან „მკვდარი სეზონი“.

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 6 მარტის ნომერში მოთავსებული წერილის „ტაქსში მხოლოდ ქალიშვილებია“ მე-6 სვეტის პირველი აბზაცის მე-10 სტრიქონში ნაცვლად „ტურბაზისა“ უნდა იკითხებოდეს „სავაჭრო ბაზა“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი
ელ. ალფენიძე.

გაზეთი გამოდის ქართულ („მებრძოლი გუშაგი“) და რუსულ („ბოევოი სტრაჟ“) ენებზე ყოველ ოთხშაბათს.

ჩვენი მისამართი:
თბილისი — 5, ერეკლე II მოედანი, № 1.

ტელეფონები:
რედაქტორი — 9-91-47-82, რედაქტორის მოადგილე — 9-91-49-58, პასუხისმგებელი მდივანი — 9-91-48-34,

განყოფილებები:
1. პარტიული ცხოვრების; 2. მილიციის ორგანოების; 3. საგამომძიებლო ორგანოების; 4. სპეციალური ადგილების ორგანოების; 5. სახანძრო დაცვის; 6. არასაუწყებო დაცვის; 7. კულტურის და ყოფაცხოვრების; 8. ინფორმაციის, ფელეტონისა და ნარკვევის; 9. წერილებისა და მასობრივი მუშაობის; 10. სახალხო რაზმეულების; 11. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის; 12. ილუსტრაციის განყოფილებების საცნობარო ტელეფონი — 9-91-48-84; ბუღალტერია, განცხადებების მიღება — 9-91-48-34.